წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N8

ქ.წალენჯიხა 30 მარტი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ივერ კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, კობა შანავა, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, მალხაზ ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ.გულორდავა, გამგებლის მოადგილე თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 14:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N10).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 21 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა-მუნიციპალიტეტის გამგებელი

2. 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა-მუნიციპალიტეტის გამგებელი

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე შინაური პირუტყვის ქუჩებში, სკვერებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში გაშვების აკრძალვის და სპეციალურ სამყოფელში გადაყვანილი პირუტყვის ყოველდღიური შენახვის ხარჯის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

5. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე".

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

6. „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

8 .მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:თენგიზ ფიფია-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ავთანდილ ჩანგელიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:თენგიზ ფიფია-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

11.სხვადასხვა.

მოისმინეს:1 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საკრებულოს წევრებმა შეაფასეს დამაკმაყოფილებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N11) .

მოისმინეს:2 . 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიში საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

მოისმინეს: 3 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე შინაური პირუტყვის ქუჩებში,

სკვერებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში გაშვების აკრძალვის და სპეციალურ სამყოფელში გადაყვანილი პირუტყვის ყოველდღიური შენახვის ხარჯის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N13)

მოისმინეს: 4 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N14)

მოისმინეს: 5 „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე".

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N12)

მოისმინეს: 6 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N13)

მოისმინეს: 7 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინე გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N14)

მოისმინეს: 8 .მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკითხი წარმოადგინე გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნულმა პირმა გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსმა თემურ მეგონიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N15)

მოისმინეს: 9 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინე გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნულმა პირმა გამგეობლის მოადგილემ თენგიზ ფიფიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ნესტან გოგოხიამ აღნიშნა, რომ საჭიროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების გაცნობა უბნის ექიმებისათვის, რათა მოხდეს მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა.
ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ უმოკლეს ვადაში მოხდება შეხვედრა უბნის ექიმებთან და აღნიშნული პროგრამის გაცნობა.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N16)

მოისმინეს: 10 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ავთანდილ ჩანგელიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინე გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნულმა პირმა გამგეობლის მოადგილემ თენგიზ ფიფიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი)
მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N17)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N10

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 30 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა-მუნიციპალიტეტის გამგებელი

2. 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: გოგა გულორდავა-მუნიციპალიტეტის გამგებელი

3.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქ.წალენჯიხისა და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე შინაური პირუტყვის ქუჩებში, სკვერებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში გაშვების აკრძალვის და სპეციალურ სამყოფელში გადაყვანილი პირუტყვის ყოველდღიური შენახვის ხარჯის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

5. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში

(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე".

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

6. „ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია-საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

8 .მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თემურ მებონია
სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N 67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:თენგიზ ფიფია-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ავთანდილ ჩანგელიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:თენგიზ ფიფია-მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

11.სხვადასხვა.

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №11

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “დ.ა“ ქვეპუქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 88–ე მუხლის შესაბამისად

1.დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში და მისი შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ჭობალიას ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13

2016 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, (ქუჩებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში), წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცებისა თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლისა და 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული წალენჯიხის მუნიციპალიტეტისქ.წალენჯიხისდაქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, (ქუჩებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში), წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესი.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქ. წალენჯიხის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე შინაური პირუტყვის ქუჩებში, სკვერებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში გაშვების აკრძალვის და სპეციალურ სამყოფელში გადაყვანილი პირუტყვის ყოველდღიური შენახვის ხარჯის ფადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის №3 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

დანართი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, (ქუჩებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში), წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.ეს წესი არეგულირებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის და ქალაქ ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ-ქუჩებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში მეთვალყურეობს ქვეშ ან/და უმეთვალყურეოდ გაშვების აკრძალვას.

2.ამ წესის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იერსახის, სისუფთავის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნა.

მუხლი 2. მოხეტიალე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერა-იზოლირების ღონისძიებანი

1.იკრძალება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.წალენჯიხის და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, (ქუჩებში, სკვერებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში), შინაური პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვება, ძოვება და ხეტიალი.

2.მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი ექვემდებარება დაუყოვნებლივ იზოლაციას.

მუხლი 3. მოხეტიალე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერა-იზოლირების პირობები და უფლებამოსილი ორგანოები

1.პირუტყვის იზოლირებას ახორციელებს ა(ა)იპ ქ.,,წალენჯიხის და ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურები" (შემდგომში-შემსრულებელი), რომლებთანაც ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

2. შემსრულებელი ვალდებულია პირუტყვის დაჭერისთანავე გაავრცელოს ინფორმაცია იმდაგვარად, რომ ივარაუდებოდეს ინფორმაციის საზოგადოების ფართო წრისადმი მისაწვდომობა. გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოწოდებას მესაკუთრის მიერ დაკავებული პირუტყვის წაყვანის შესახებ.

3.გადაიყვანოს პირუტყვი სპეციალურ იზოლატორში.

4.მიაწოდოს ინფორმაცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს პირუტყვისაგან მიყენებული ზიანის შესახებ.

5.შემსრულებელი ვალდებულია დაკავებული პირუტყვი ამყოფოს ჩვეულებრივ პირობებში განახორციელოს მათი კვება, მოვლა, დაცვა.

6.ცხოველის სადღეღამისო კვება, შენახვა და განაცხადის გამოქვეყნება განხორციელდეს პირუტყვის მესაკუთრის ხარჯზე.

7.შემსრულებლისაგან ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე უმეთვალყურეოდ მიტოვებული წვრილფეხა ან მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერის ადგილზე ან/და ცხოველთა სადგომისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს გამგეობის ზედამხედველობის სამსახური.

8.შემსრულებელი ვალდებულია სრულყოფილად აწარმოოს პირუტყვის დაჭერის თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, პირუტყვის მესაკუთრეზე დაკისრებული შენახვის ხარჯის ამოღებასთან დაკავშირებით იხელმძღვანელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ჯარიმის ოდენობა, გადახდის წესი და პირობები

1.წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეპატრონის დაჯარიმება ხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად და ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2.დაჯარიმებული პირუტყვის მესაკუთრე ჯარიმას იხდის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.

3.დაჭერილი ცხოველის მეთვალყურეობის მომსახურების თანხა განისაზღვროს დღეში 10(ათი) ლარით.

4.შემსრულებელი ვალდებულია დაჭერილი პირუტყვი მესაკუთრეს გაატანოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და გადახდილი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, რის შესახებაც ფორმდება დაჭერილი პირუტყვის მიღება-ჩაბარების აქტი, თარიღის მითითებით და მხარეების ხელმოწერით.

5.წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე დაკისრებულ ჯარიმას იხდის 30 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაკისრებული ჯარიმის და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება პირუტყვის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.თუ პირუტყვის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა აღემატება ჯარიმის, სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯებს, ზედმეტი თანხა უბრუნდება პირუტყვის მესაკუთრეს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2016 წლის 30 მარტი

ქ. წალენჯიხა

,,წალენჯიხის მუნიპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,წალენჯიხის მუნიპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №9 დადგენილების (25/02/2011 ს/კ 020080160.35.104.016055) პრეამბულაში შეტანილ იქნეს ცვლილებადა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის239-ე მუხლის მე-14 ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ" საქართველოს კანონისმე-4 მუხლის პირველი პუნქტის და ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების დანართი №1-ის მე-2 პუნქტის ,,ჯ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**".

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N12

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის, „ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ " საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მე-6 მუხლის შესაბამისად,

1. შეიქმნას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ლევან შელია-კომისიის თავმჯდომარე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
ბ) ბესიკ ფარცვანია-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
გ) ბაჩუკი უბილავა-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
დ) ვახტანგ გუჩუა- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის სპეციალისტი;
ე) ხვიჩა მებონია-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

2.ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N14 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N13

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 61–ე მუხლის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 63 –ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 04 აგვისტოს N74 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლის „გ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:
გ.ა) ანზორ ფიფია–კომისიის თავმჯდომარე;
გ.ბ) ლევან ფიფია–კომისიის წევრი;
გ.გ) ივერ კვარაცხელია–კომისიის წევრი;
გ.დ) ბესიკ ფარცვანია–კომისიის წევრი;
გ.ე) ავთანდილ გაბელია–კომისიის წევრი;
გ.ვ) მალხაზ ფიფია–კომისიის წევრი;
გ.ზ) ბორის კვარაცხელია–კომისიის წევრი;
გ.თ) ლევან შელია–კომისიის წევრი.".

2. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

კონსოლიდირებული ვერსია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N74 (2014 წლის 4 აგვისტო)

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 23–ე მუხლის შესაბამისად,

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება

1. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა შემადგენლობა შემდეგი შემადგენლობით:

ა) იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია:
ა.ა) ვლადიმერ გაბელია –კომისიის თავმჯდომარე
ა.ბ) მარინა კალანდია –კომისიის წევრი
ა.გ) ელგუჯა მესხია – კომისიის წევრი
ა.დ) ნონა კვარაცხელია –კომისიის წევრი;
ა.ე) ლევან ფიფია – კომისიის წევრი;
ა.ვ) ვახტანგ ქუჩულორია –კომისიის წევრი;
ა.ზ) დავით ჭიჭინაძე–კომისიის წევრი."

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:
ბ.ა) ილია გულუა – კომისიის თავმჯდომარე
ბ.ბ) ვლადიმერ კვარაცხელია – კომისიის წევრი
ბ.გ) ვლადიმერ გაბელია – კომისიის წევრი
ბ.დ) კახაბერ ციმინტია – კომისიის წევრი
ბ.ე) დავით ბელქანია – კომისიის წევრი;
ბ.ვ) მერაბ კვარაცხელია – კომისიის წევრი."

გ) სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:
გ.ა) ანზორ ფიფია–კომისიის თავმჯდომარე;
გ.ბ) ლევან ფიფია–კომისიის წევრი;
გ.გ) ივერ კვარაცხელია–კომისიის წევრი;
გ.დ) ბესიკ ფარცვანია–კომისიის წევრი;
გ.ე) ავთანდილ გაბელია–კომისიის წევრი;
გ.ვ) მალხაზ ფიფია–კომისიის წევრი;
გ.ზ) ბორის კვარაცხელია–კომისიის წევრი;"
გ.თ) ლევან შელია–კომისიის წევრი;"

დ) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია:
ა.ა) დალი კვარაცხელია – კომისიის თავმჯდომარე
ა.ბ) ანზორ ფიფია –კომისიის წევრი;
ა.გ) ვახტანგ ქუჩულორია –კომისიის წევრი;

ა.დ) ასმათ კვარაცხელია – კომისიის წევრი;
ა.ე) ზაჩუკი უბილავა – კომისიის წევრი;
ა.ვ) ცოტნე მესხია – კომისიის წევრი;
ა.ზ) დავით ფიფია – კომისიის წევრი;

ე) სოციალურ საკითხთა კომისია:
ა.ა) ასმათ კვარაცხელია– კომისიის თავმჯდომარე
ა.ბ) მერაბ კვარაცხელია – კომისიის წევრი
ა.გ) დალი კვარაცხელია – კომისიის წევრი;
ა.დ) მარინა კალანდია – კომისიის წევრი;
ა.ე) ბორის კვარაცხელია –კომისიის წევრი;
ა.ვ) დარეჯან დადიანი –კომისიის წევრი;
ა.ზ) ელგუჯა მესხია –კომისიის წევრი;
ა.თ) ნონა კვარაცხელია –კომისიის წევრი;
ა.ი) ნესტან გოგოხია–კომისიის წევრი

2. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის N41 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N14

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასაცხოვრებელი ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემაზე გამგებლისატვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე და 36-ე მუხლების თანახმად,

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის გამგებელს გასცეს (პირდაპირი განკარგვის წესით), იჯარის ფორმით სარგებლობაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული- ქ. წალენჯიხა წმინდა ნინოს ქუჩაზე მდებარე სპორტის სასტუმროს შენობის პირველ სართულზე არსებული 45,2 კვმ არა საცხოვრებელი ფართი. მიწის უძრავი ქონების ს/კ N47.11.44.004. 3 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირა-900 ლარი.

2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ქ. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქუჩა N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N15

მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოსორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1.დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და პრივატიზების გეგმა, წარმოდგენილი დანართი N1 და N2-ის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ქ. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქუჩა N12)

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

დანართი N1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

N	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვმ.	შენობა ნაგებობების ფართობი კვმ.	მიწის (უძრავი ქონების) ს/კ
1	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.წალენჯიხა, წმ.ნინოს ქუჩა	148,00		47.11.44.360
2	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.წალენჯიხა, წმ.ნინოს ქუჩა	486,00		47.11.44.361
3	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არასაცხოვბრებელი ფართი	ქ.წალენჯიხა, გრანელის ქუჩა	30,58		47.11.44.019.01/501
4	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული	200,0		47.09.31.098

დანართი N2

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

N	საპრივატიზებო ობიექტების დასახელება	მდებარეობა	საწყისი საპრივატიზებო საფასური ლარი	ელექტრონული/საჯარო აუქციონის (უპირობო ან პირობებიანი) ფორმა	ელექტრონული/საჯარო/აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	148,0 კვმ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.წალენჯიხა, წმ.ნინოს ქუჩა	2250,00	უპირობო	2016 წლის მაისი-ივნისი
2	486,0 კვმ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.წალენჯიხა, წმ.ნინოს ქუჩა	7300,00	უპირობო	2016 წლის მაისი-ივნისი
3	200,0 კვმ არა ს/ს დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული	1200,0	უპირობო	2016 წლის მაისი-ივნისი
4	30,58 არასაცხოვრებელი ფართი	ქ.წალენჯიხა, გრანელის ქუჩა	3100,0	უპირობო	2016 წლის მაისი

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N16

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს 61-ე მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 63–ე მუხლის შესაბამისად,

1.შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის #67 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში:

ა),,სიცოცხლისათვის საშიში სისხლისა და ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა მუდმივად საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა''-ის მუხლი ,,პროგრამის აღწერილობა''-ის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,სოციალური კომისიის'' მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ ბენეფიციარი ჩაერთვება პროგრამაში და დაფინანსდება ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. თანხა ჩაირიცხოს მათ პირად ანგარიშზე.“.

ბ) „ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ნაწილობრივი თანადაფინანსების პროგრამა“-ის მუხლი ,,პროგრამის აღწერილობა '' მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ საკითხი განხილული იქნება კომისიის სხდომაზე და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბენეფიციარს უნდა გაეცეს საგარანტიო წერილი.“.

გ) „ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა“-ის მუხლი ,,პროგრამის აღწერილობა''-ის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 30 ბენეფიციარზე. ბენეფიციარების შერჩევა ხდება სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის მონაცემების გათვალისწინებით. ბენეფიციართა სიაში გარკვეული ცვლილებების გასათვალისწინებლად, პერიოდულად სია შეჯერდება აღნიშნულ დისპანსერთან.“.

2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე;

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

<u>კონსოლიდირებული ვერსია</u>

ფსიქიურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა.

ფსიქო ნარკოლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე მყოფი პაციენტები სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით დიდწილად უზრუნველ ყოფილი არიან. მათ შორის არიან პაციენტები, რომლებიც დამატებით საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას და თავიანთი სახსრებით უხდებათ მათ შეძენა.

პროგრამის მიზანი :

პაციენტებისთვის მკურნალობის პერიოდული შეწყვეტა, ან არსრულად მედიკამენტების მიღება იწვევს დავადების ხშირ გამწვავებას და ქმნის გარკვეულ კონფლიქტურ სიტუაციებს, როგორც პაციენტის ოჯახში, ასევე საზოგადოებაში .

აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ფსიქიური აშლილობით დავადებულ თანამოქალაქეთა ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ ირგვლივ მშვიდი გარემოს შექმნას .

პროგრამის აღწერილობა:

პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 30 ბენეფიციარზე. ბენეფიციარების შერჩევა ხდება სარაიონთაშორისო ფსიქონარკოლოგიური დისპანსერის მონაცემების გათვალისწინებით . ბენეფიციართა სიაში გარკვეული ცვლილებების გასათვალისწინებლად, პერიოდულად სია შეჯერდება აღნიშნულ დისპანსერთან.

პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურ 100 ლარიან დახმარებას.

პროგრამის მართვა ხორციელდება ,,სოციალური კომისიის" მიერ.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება 1 წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 30 000 ლარი.

<u>კონსოლიდირებული ვერსია</u>

სიცოცხლისათვის საშიში სისხლისა და ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაავადებით შეპყრობილ პაციენტთა მუდმივად საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები რამდენიმე პაციენტი დაავადებულია ისეთი დაავადებით, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, სირინგომიელია, მოტორული ნეიროორონთა დაავადება და ლეიკოზი. მათ შემაწუხებელი ტკივილის მოსახსნელად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად მუდმივად სჭირდებათ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში დანიშნული ძვირადღირებული მედიკამენტები. აღნიშნულის გამო ისინი ხშირად მიმართავენ მუნიციპალიტეტის გამგეობას ფინანსური დახმარებისათვის.

პროგრამის მიზანი:

აღნიშნულ პაციენტებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა ხელს შეუწყობს მათი მკურნალობის უწყვეტობას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებას და საბოლოო ჯამში წარმოადგენს თანამოქალაქეებზე ზრუნვას.

პროგრამის აღწერილობა:

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებებიდან შესაბამისი დიაგნოზის დამადადასტურებელ ფორმა N–100–ს, სადაც მითითებულია,რომ პაციენტს ესაჭიროება მუდმივი მედიკამენტოზური მკურნალობა ძვირაღირებული მედიკამენტებით.

,,სოციალური კომისიის'' მიერ აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ ბენეფიციარი ჩაერთვება პროგრამაში და დაფინანსდება ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. თანხა ჩაირიცხოს მათ პირად ანგარიშზე.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგრძელდება ერთი წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 10 000 ლარი.

ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ნაწილობრივი თანადაფინანსების პროგრამა

საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული პაციენტთა სტაციონარული მომსახურების დაფინანსება ითვალისწინებს პაცინტთა მხრიდან თანამონაწილეობას, რაც ხშირ შემთხვევაში გარკვეულწილად მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს და უარყოფითად აისახება მათი ოჯახების ეკონომიკურ და საარსებო– ყოფით პირობებს .

პროგრამის მიზანი:

აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ბენეფიციართა ოჯახების ფინანსურ –ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებას და საბოლოო ჯამში წარმოადგენს თანამოქალაქეთა ჯამრთელობაზე ზრუნვას.

პროგრამის აღწერილობა:

პროგრამა ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ პაციენტთა სტაციონარული მომსახურების ღირებულების ნაწილობრივ თანადაფინანსებას. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მომწოდებლის მიერ მოწოდებული ტარიფი აჭარბებს ტარიფის არეალის ლიმიტს, რის გამოც საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული დაფინანსება ანგარიშდება ტარიფის არეალის ზედა ზღვარზე დაფიქსირებული ღირებულებიდან . მსგავსად აღნიშნულისა, მუნიციპალური პროგრამით ბენეფიციართა თანადაფინანსება გამოითვლება საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული 70% –ის შესაბამისი 30%–დან ასევე მოსარგებლის სტატუსის (მიზნობრივი ჯგუფების) გათვალისწინებით საყოველთაო დაზღვევით 100% –ანი დაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალური პროგრამით დაფინანსება გამოითვლება პაციენტის მიერ გადახდილი თანხის 30%–დან.

„აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ საკითხი განხილული იქნება კომისიის სხდომაზე და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბენეფიციარს უნდა გაეცეს საგარანტიო წერილი.

ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს განცხადება ,პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი ფ.N 100, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში დაფინანსებული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებელი იქნება უშუალოდ პაციენტი ან მისი ოჯახის წევრი. აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს ,,სოციალური კომისია" და შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას ფულადი დახმარების ოდენობაზე.

პროგრამა დაიწყება 01.01.2016 წელს და გაგეძელდება 1 წელი.

პროგრამის ხარჯთააღრიცხვაა 120 000 ლარი.

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

30 მარტი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N17

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ავთანდილ ჩანგელიაზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემასთან დაკავშირებით გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N67 განკარგულების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გასცეს ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებიდან, ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ავთანდილ ჩანგელიაზე თანხა, 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;

2.განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქუჩა N12)

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია